

გირავნობა, როგორც მოთხოვნის
უზრუნველყოფის საშუალება ქართული და
გერმანული სამართლის მიხედვით

ავტ: ნატო ნადირაძე

თბილისი

2012 წელი

გირავნობა რომის სამოქალაქო სამართლის მიხედვით

გირავნობის ინსტიტუტი სამოქალაქო სამართალში წარმოადგენს უძველეს ინსტიტუტს. ამის მაგალითია ის, რომ გირავნობა გვხვდება რომის სახელმწიფო სამართალში. მან რომის სამოქალაქო სამართალში განვითარების საკმაოდ რთული გზა გაიარა.

გირაოს საფუძველია დებიტორის ვალდებულება და პასუხისმგებლობა კრედიტორის წინაშე. ეს ვალდებულება - „obligatio” განმტკიცებულია ნივთობრივად „ნივთის პასუხისგებით”. თუ დებიტორი თავის ვალდებულებას არ შეასრულებს კრედიტორის წინაშე, მაშინ კრედიტორს საშუალება ექნება გირაო ნივთიდან დაიკმაყოფილოს თავი.

ძველი რომის სამოქალაქო სამართალი გამოირჩეოდა თავისი სისასტიკით დებიტორის მიმართ. ის პირველ ყოვლისა კრედიტორის ინტერესებს იცავდა.

თავდაპირველად, როგორც ჩანს, წარმოიშვა ე.წ. „fiducia” ანუ გირავნობის ისეთი ფორმა, რომლის მიხედვითაც გირაო ნივთი გადაეცემოდა კრედიტორს იმ პირობით, რომ მას შემდეგ, რაც კრედიტორის კანონიერი მოთხოვნები დაკმაყოფილებული იქნებოდა დებიტორის მიერ, გირაო ნივთს კრედიტორი დებიტორს დაუბრუნებდა.¹

დროთა განმავლობაში „fiducia”-მ გზა დაუთმო „pignus”-ს. გირაოს ასეთი ფორმის დროს დებიტორი გადასცემდა კრედიტორს ნივთს ვალის უზრუნველსაყოფად, მაგრამ უკვე არა საკუთრებაში, არამედ მხოლოდ მფლობელობაში. „fiducia”-სთან შედარებით ეს იყო წინ გადადგმული ნაბიჯი სამოქალაქო ბრუნვისა და საკრედიტო ურთიერთობების განვითარების გზაზე. მაგრამ, რომის სამოქალაქო სამართალმა კიდევ ერთი ნაბიჯი გადააგა წინ. წარმოიშვა და გაფორმდა ადგილ-მამულთა გირავნობის ახალი სახეობა—„hypotheca”. ამ შემთხვევაში დაგირავებული ადგილ-მამული ისევ დებიტორის მფლობელობაში რჩებოდა. გონივრული არ იქნებოდა, რომ

¹ გიორგი ნადარეიშვილი „რომის სამოქალაქო სამართალი” თბილისი 2006წელი; გვ.98

დაგირავებული ადგილ-მამული იმ კრედიტორის ხელში მოხვედრილიყო, რომელსაც მისი მართვის და დამუშავების გამოცდილება არ გააჩნდა, უფრო მიზანშეწონილად ჩათვალეს დაეტოვებინათ დაგირავებული ადგილ-მამული დებიტორის ხელში, რომ მას უფრო გაადვილებოდა კრედიტორისთვის ვალის გადახდა.²

გირავნობის ცნება და შინაარსი

მოთხოვნის უზრუნველყოფის ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს გირავნობა. გირავნობის ცნება მოცემულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 254-ე მუხლში, რომლის მიხედვითაც „მოვალის ან მესამე პირის მოძრავი ნივთი ან/და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომლის სხვა პირთათვის გადაცემა დასაშვებია, შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც ფულადი, ისე არაფულადი მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად, ისე, რომკრედიტორი (მოგირავნე) იძენს უფლებას, დაიკმაყოფილოს მოთხოვნა დაგირავებული ქონების (გირავნობის საგნის) რეალიზაციით ან მხარეთა შეთანხმებით-მისი საკუთრებაში მიღებით მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში.“³ ასევე „მოგირავნეს გირავნობის საგნიდან აქვს თავისი მოთხოვნის უპირატესი დაკმაყოფილების უფლება სხვა კრედიტორებთან შედარებით.“⁴

განმარტებიდან ჩანს, რომ გირავნობა წარმოადგენს ვალდებულების უზრუნველყოფის ისეთ საშუალებას, რომლის ძალითაც მოგირავნეს აქვს უპირატესი უფლება, მოვალის სხვა კრედიტორებთან შედარებით დაიკმაყოფილოს მოთხოვნა გირავნობის საგნიდან ამ უკანასკნელის რეალიზაციით ან მხარეთა შეთანხმების არსებობის შემთხვევაში-მისი საკუთრებაში მიღების გზით.⁵

² გიორგი ნადარეიშვილი „რომის სამოქალაქო სამართალი“ თბილისი 2006წელი; გვ99-100

³ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მუხ.254-ის პირველი ნაწილი

⁴ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მუხ.254-ის მე-2 ნაწილი

⁵ ზურაბ ჭეჭელაშვილი „სანივთო სამართალი“; თბილისი 2010 წელი; გვ 402-403

გირავნობა ყოველთვის უზრუნველყოფს განსაზღვრულ ვალდებულებას და შესაბამისად, იგი ამ ვალდებულების გარეშე არ შეიძლება არც წარმოიშვას და არც არსებობდეს; ე.ი. გირავნობის უფლება აქცესორული უფლებაა. იგი დამატებითი ხასიათის უფლებაა და არ არსებობს ძირითადი უფლების გარეშე. აქცესორული ურთიერთობა მხოლოდ უფლებათა შორის ურთიერთობაა, რომელშიც ერთი უფლება ემსახურება მეორის მიზნებს. გირავნობის უფლება, როგორც სანივთო უფლება, ვალდებულებითი უფლების უზრუნველყოფას ემსახურება.⁶ თუმცა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის იმავე 254-ე მუხლში არსებობს ნორმა, რომელიც წარმოადგენს ამ პრინციპიდან გარკვეულ გადახვევას. კერძოდ, მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, გირავნობის უფლება შეიძლება დადგინდეს სამომავლო ან პირობითი მოთხოვნების უზრუნველსაყოფადაც. როგორც სამომავლო, ასევე პირობითი მოთხოვნები არ ითვლება წარმოშობილად განსაზღვრული მომენტის-კონკრეტული ვადის ან მოვლენის დადგომამდე. ვინაიდან არ არსებობს მოთხოვნა, მესაბამისად არც გირავნობის უფლება არ უნდა ითვლებოდეს წარმოშობილად. მაგრამ ამ შემთხვევაში კანონი უშვებს გამონაკლისს და გირავნობის უფლებას წარმოშობილად მიიჩნევს მოგირავნესა და დამგირავებელს შორის შეთანხმებისა და ნივთის გადაცემის მომენტიდან, ხოლო რეგისტრირებული გირავნობის შემთხვევაში - რეგისტრაციის მომენტიდან.

არ არის საგადასმელი, რომ უზრუნველყოფილი მოთხოვნა აუცილებლად ფულადი სახით იყოს წარმოდგენილი. დასაშვებია გირავნობით იქნეს უზრუნველყოფილი არაფულადი მოთხოვნა იმ პირობით, რომ შესაძლებელი იყოს ასეთი მოთხოვნის გამოსახვა ფულადი ფორმით. ეს წინაპირობა აუცილებელია განსაკუთრებით გირავნობის საგნის რეალიზაციის დროს, ვინაიდან რეალიზაციის შედეგად მოგირავნე იღებს ფულად თანხას, რომელიც მიემართება სწორედ მოთხოვნის დაფარვისათვის.⁷ მსგავსი ნორმა არის დადგენილი გერმანიის სამოქალაქო კოდექსითაც, თუმცა განსხვავებით საქლოს სამოქალაქო კოდექსის 254-ე მუხლის მე-4 ნაწილისგან, რომლის თანახმადაც მოთხოვნის ფულადი ფორმით გამოსატანად და მოკიდებული გირავნობის

⁶ ბესარიონ ზოიძე „ქართული სანივთო სამართალი“ თბილისი 2003 წელი; გვ.285

⁷ ზურაბ ჭკველაშვილი „სანივთო სამართალი“ თბილისი 2010 წელი; გვ.404

ხელშეკრულების ნამდვილობა. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის §1228 ანალოგიურ შემთხვევაში საუბრობს გირავნობის საგნის გაყიდვის დასაშვებობაზე მხოლოდ იმ დროს, როდესაც მოთხოვნა გადადის ფულად ფორმაში. კერძოდ, მოგირავნე უფლებამოსილია გაყიდვაზე მოთხოვნის მთლიანად ან ნაწილობრივ შესრულების ვადის დადგომისთანავე. თუ ვალდებულების საგანს არ წარმოადგენს ფული, მაშინ გაყიდვა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნა გადაყვანილია ფულად მოთხოვნაში.⁸

გირავნობის საგანი

გირავნობის საგანს წარმოადგენს მოძრავი ნივთები, აგრეთვე ქონებრივი ხასიათის მქონე მოთხოვნები და უფლებები. მოძრავ ნივთებზე გირავნობის უფლების დადგენისას ეს უკანასკნელი ვრცელდება ნივთის არსებით შემადგენელ ნაწილებზე, მაგრამ იგი შეიძლება არც გავრცელდეს ნივთის საკუთონებელზე, რომელიც შეიძლება დამოუკიდებლად დაგირავდეს. გირავნობის უფლება შეიძლება დადგენილ იქნეს ისეთ არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე-უფლებებსა და მოთხოვნებზე, რომლებიც ექვემდებარება გადაცემას.

გირავნობის საგანი შეიძლება იყოს არა მარტო სახეზე არსებული მოძრავი ნივთები, უფლებები და მოთხოვნები, არამედ იგივე ობიექტები, რომლებიც წარმოიშობა მომავალში ან რომლებსაც დამგირავებელი მომავალში შეიძენს.

თუ გირავნობის საგანს წარმოადგენს ისეთი მოძრავი ნივთი, მოთხოვნები და უფლებები, რომლებიც იძლევა ნაყოფს ან შემოსავალს, მაშინ გირავნობის უფლება ამ უკანასკნელზე, როგორც წესი, არ ვრცელდება. თუმცა, კანონი ითვალისწინებს ამ წესიდან გამონაკლისებსაც. კერძოდ, გირავნობის უფლება ვრცელდება იმ ნაყოფსა და შემოსავალზე, ნივთი ან არამატერიალური ქონებრივი სიკეთე იძლევა მათი რეალიზაციის უფლების მქონე მოგირავნისათვის გადაცემის მომენტიდან. გარდა ამისა, მხარეებს თავად შეუძლიათ შეთანხმდნენ გირავნობის ხელშეკრულებაში გირავნობის უფლების გირავნობის საგნის ნაყოფსა თუ შემოსავალზე გავრცელების შესახებ (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 256-ე მუხლის მე-2 ნაწილი).⁹

⁸ გერმანიის სამოქალაქო კოდექსის §1228

⁹ ზურაბ ჭეჭელაშვილი „სანივთო სამართალი“ თბილისი 2010წელი; გვ. 405-407

გირავნობის სახეები და წარმოშობა

გირავნობის წარმოშობა ხდება სანივთო გარიგების საფუძველზე. დამგირავებელი და მოგირავნე თანხმდებიან იმაზე, რომ გირაოთი მოხდება პასუხისმგებლობა უზრუნველყოფილი მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში. თუ არ გვაქვს შეთანხმება ან იგი ბათილია, არავითარი გირავნობა არ წარმოიშობა. შეთანხმება ხდება გირაოს მესაკუთრესა და მოგირავნეს შორის.¹⁰

დადგენის მიხედვით განასხვავებენ გირავნობის ორ სახეს:

- 1.კანონისმიერი გირავნობა;
- 2.სახელშეკრულებო გირავნობა.

კანონისმიერი გირავნობა წარმოიშობა კანონის ძალით და იგი ყოველთვის დაკავშირებულია კონკრეტული მოთხოვნის უზრუნველსაყოფად. სახელშეკრულებო გირავნობა კი თავის მხრივ იყოფა კიდევ ორ სახედ, რომლებიც გათვალისწინებულია სსკ-ის 255-ე მუხლით. ესენია:

- ა)მფლობელობითი გირავნობა;
- ბ)რეგისტრირებული გირავნობა.

მფლობელობითი გირავნობის დადგენა ხდება დამგირავებელსა და მოგირავნეს შორის დადებული შეთანხმებით გირავნობის დადგენის შესახებ (გირავნობის ხელშეკრულებით) და მოძრავი ნივთს მოგირავნის ან მის მიერ განსაზღვრული მესამე პირის მფლობელობაში გადაცემით.ნივთის გადაცემის მიღწევა შესაძლებელია ე.წ. „მოკლე ხელის გადაცემითაც“, კერძოდ, სსკ-ის 257-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ გირავნობის საგანი უკვე იმყოფება მოგირავნის ან მის მიერ უფლებამოსილი პირის მფლობელობაში,გირავნობის წარმოშობისათვის საკმარისია მხარეთ შეთანხმება.¹¹

¹⁰ ბესარიონ ზოიძე „ქართული სანივთო სამართალი“ ;თბილისი 2003 წელი; გვ.291–292;

¹¹ ზურაბ ჭეჭელაშვილი „სანივთო სამართალი“ თბილისი 2010 წელი ;გვ.407–408.

გერმანიის სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს გადაცემის შეცვლის სპეციალურ წესს იმ შემთხვევებისათვის, როდესაც ნივთი იმყოფება დამგირავებლის არაპირდაპირ მფლობელობაში. კერძოდ, §1205 მე-2 ნაწილის თანახმად, თუ დამგირავებლის კუთვნილი მოძრავი ნივთი იმყოფება მესამე პირის პირდაპირ მფლობელობაში, ნივთის გადაცემა შეიძლება შეიცვალოს დამგირავებლის მიერ მოგირავნის არაპირდაპირ მფლობელობაში გადაცემითა და მფლობელი მესამე პირის გირავნობის თაობაზე შეტყობინების წარდგენით. იმავე გერმანიის სამოქალაქო კოდექსის §1206 ითვალისწინებს ასევე გადაცემის შეცვლას მოძრავ ნივთებზე თანამფლობელობის მინიჭებით.¹²

მფლობელობითი გირავნობის სპეციალურ სახეს წარმოადგენს ლომბარდული გირავნობა. იგი სიახლეა საქართველოს სამოქალაქო კოდექსში. ლომბარდული გირავნობის მიმართ გამოიყენება მფლობელობითი გირავნობის მომწესრიგებელი ნორმები სსკ-ის 260-ე მუხლში მოცემული სპეციალური წესების გათვალისწინებით. კანონი ადგენს ლომბარდული გირავნობის დადგენის შესახებ სანივთო შეთანხმების სავალდებულო წერილობით ფორმას. ფორმის დაუცველობის გამო ლომბარდული გირავნობის შეთანხმება ბათილად მიიჩნევა. ასევე კანონი ითვალისწინებს, რომ თუ მხარეები საწინააღმდეგოზე არ შეთანხმდებიან, ლომბარდის მოთხოვნა მოვალის მიმართ წყდება იმ შემთხვევაშიც, როდესაც გირავნობის საგნის რეალიზაციიდან ამონაგები თანხა სრულად ვერ ფარავს ლომბარდის მოთხოვნას.

რეგისტრირებული გირავნობის შემთხვევაში, მოძრავი ნივთის მოგირავნის ან მესამე პირის მფლობელობაში გადაცემა საჭირო არ არის. რეგისტრირებული გირავნობის წარმოშობისათვის აუცილებელია, რომ გარიგება დაიდოს წერილობითი ფორმით და ამ გარიგებით განსაზღვრული გირავნობის უფლება დარეგისტრირდეს საჯარო რეესტრში.¹³

კერძოსამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეებს მოძრავი ნივთების საუზრუნველყოფოდ გამოყენებისას უფლება აქვთ შეთანხმდნენ მფლობელობით ან რეგისტრირებულ გირავნობაზე. მაგრამ ასეთი არჩევანი მათ არ აქვთ ისეთ

¹² გერმანიის სამოქალაქო კოდექსი §1205-§1206;

¹³ ზურაბ ჭკუქელაშვილი „სანივთო სამართალი“ თბილისი 2010 წელი :გვ.409-410

შემთხვევაში, როდესაც გირავნობის საგანია მოთხოვნა. ამ შემთხვევაში კანონში პირდაპირ არის მითითებული, რომ „მოთხოვნის დაგირავება ხორციელდება წერილობითი ფორმით გარიგების დადებისა და ამ გარიგებით განსაზღვრული უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის გზით.”¹⁴

ფასიანი ქაღალდის დაგირავების მიმართ კანონი ადგენს ორგვარ წესს იმისდა მიხედვით, წარმოადგენს თუ არა ფასიანი ქაღალდი საჯარო ფასიან ქაღალდს. ამ უკანასკნელის დაგირავების წესი განისაზღვრება „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ” საქართველოს კანონით.

გირავნობის სუბიექტები და სუბიექტებს შორის სამართლებრივი ურთიერთობა

გირავნობის ურთიერთობის მონაწილეებად გამოდიან, ერთი მხრივ, ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე კრედიტორი - მოგირავნე და, მეორე მხრივ, მოვალე, თუ გირავნობის საგანი ეკუთვნის უშუალოდ მოვალეს ან მესამე პირი, რომელიც მოვალის მიერ ნაკისრი ვალდებულების უზრუნველსაყოფად გირავნობით ტვირთავს თავის მოძრავ ნივთს ან არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეს.

მოგირავნესა და დამგირავებელს შორის უფლებები და ვალდებულებები განსხვავებულად განისაზღვრება იმისდა მიხედვით, მხარეებმა დადეს მფლობელობითი თუ რეგისტრირებული გირავნობა. მფლობელობითი გირავნობის შემთხვევაში მოგირავნის უპირველესი ვალდებულებაა ნივთის სათანადოდ შენახვისა და მოვლა-პატრონობის უზრუნველყოფა. ამ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში დამგირავებელს შეუძლია მოითხოვოს გირავნობის საგნის მესამე პირის მფლობელობაში გადაცემა.

რეგისტრირებული გირავნობის შემთხვევაში ნივთის სათანადოდ შენახვისა და მოვლა-პატრონობის ვალდებულება ეკისრება დამგირავებელს, ვინაოდან გირავნობის საგანი რჩება მის მფლობელობაში. ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, მოგირავნეს უფლება აქვს, მოითხოვოს გირავნობის საგნის მის

¹⁴ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი; 259-ე მუხლის პირველი ნაწილი;

ან მესამე პირის მფლობელობაში გადაცემა. განსხვავებით მოგირავნის მიერ სარგებლის მიღების წესისა, დამგირავებელი უფლებამოსილია, მიიღოს სარგებელი გირავნობის საგნიდან, რაზეც მხარეთა შორის პირდაპირი შეთანხმება აუცილებელი არ არის.¹⁵

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 261-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, თუ გირავნობის საგანს წარმოადგენს აქცია ან წილი კომერციულ იურიდიულ პირში, მაშინ დამგირავებელი იურიდიული პირის მართვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღებისას ან გარიგების დადებისას უნდა მოქმედებდეს კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე საკუთარი და მოგირავნის ინტერესების გათვალისწინებით.

ორივე სახის გირავნობის დროს დამგირავებელს შეიძლება დაეკისროს გირავნობის საგნის დაზღვევის ვალდებულება. ასეთი ვალდებულება არსებობს თუ მას პირდაპირ ადგენს კანონი ან თუ აღნიშნულის შესახებ მხარეები შეთანხმდებიან გირავნობის ხელშეკრულებაში.¹⁶

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 263-ე მუხლის თანახმად „დამგირავებელს, რომელიც არ არის გირავნობით უზრუნველყოფილი მოთხოვნის პირადი მოვალე, შეუძლია მოგირავნეს წაუყენოს ის შესაგებლები, რომლის წაყენების უფლებაც აქვს პირად მოვალეს, მათ შორის, ისეთი შესაგებლები, რომლებზედაც მოგირავნის პირადმა მოვალემ უარი თქვა გირავნობის წარმოშობის შემდეგ“.¹⁷

გირავნობის უფლებათა რიგითობა

თუ ერთდროულად გირავნობის საგანზე არსებობს რამოდენიმე გირავნობის უფლება, უნდა გადაწყდეს საკითხი თუ რომელს მიენიჭოს უპირატესობა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 267-ე მუხლის 1-ლი ნაწილი ადგენს

¹⁵ ზურაბ ჭეჭელაშვილი „სანივთო სამართალი: თბილისი 2010; გვ.416-417

¹⁶ იქვე-გვ.418;

¹⁷ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მუხლი 263

ზოგად ვეს, რომლის თანახმადაც გირავნობის უფლებათა კონკურენციისას უპირატესობა ენიჭება უფრო ადრე დადგენილ გირავნობის უფლებას, ანუ გირავნობის უფლებათა რიგითობა განისაზღვრება მათი სარეგისტრაციოდ წარდგენის დროის შესაბამისად. თუმცა კანონი ასევე ადგენს ამ წესიდან გამონაკლისებსაც:

1. გამონაკლისს წარმოადგენს სამომავლო ქონებაზე გირავნობის დადგენის წესი, რომლის თანახმადაც, გირავნობის უფლება წარმოშობილად ითვლება არა შეთანხმების დადების, არამედ ქონების წარმოშობის ან შექმნის მომენტში;

2. მეორე გამონაკლისს წარმოადგენს სსკ-ის 267-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევა, რომელიც უპირატესობას ანიჭებს კანონისმიერი გირავნობის უფლებას სახელშეკრულებო გირავნობის უფლებასთან შედარებით, როდესაც პირველი წარმოიშობა ისეთი ვალდებულებით - სამართლებრივი ურთიერთობებიდან, რომლებსაც განეკუთვნება: ქირავნობა, იჯარა, სასოფლო-სამეურნეო იჯარა, ნარდობა, გადაზიდვა-გადაყვანა და მიბარება სასაქონლო საწყობში. ანუ აქ საუბარია ორი სახის გირავნობის უფლებათა კონკურენციაზე, რომელთა შორისაც უპირატესობა ენიჭება კანონისმიერ გირავნობის უფლებას მიუხედავად უფლების დადგენის მომენტისა.

გირავნობის უფლების გადასვლა სხვა პირზე. გირავნობის საგნის გასხვისება და დაგირავება. სუროგაცია

გირავნობის უფლება აქცესორული უფლებაა და იგი მიჰყვება მოთხოვნას ამ უკანასკნელის მფლობელის - კრედიტორის მიერ სხვა პირისათვის დათმობის შემთხვევაში. გირავნობის უფლების დამოუკიდებლად მოთხოვნის გარეშე გადაცემა დაუშვებელია. გირავნობის უფლების ახალ კრედიტორზე გადასვლის მიღწევისათვის მხოლოდ მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულების დადება საკმარისი არ არის. მფლობელობითი გირავნობის დროს საჭიროა, გირავნობის საგნის ახალი კრედიტორის ან მესამე პირის მფლობელობაში გადაცემა, ხოლო რეგისტრირებული გირავნობის დროს - საჯარო რეესტრში რეგისტრაცია. თუ მოთხოვნის დათმობისას გამორიცხულია გირავნობის უფლების გადაცემა, მაშინ გირავნობის უფლება უქმდება.

დაგირავებული ნივთი შეიძლება გასხვისებულ იქნეს მესაკუთრის მიერ მიუხედავად იმისა, რომ იგი წარმოადგენს მოთხოვნის უზრუნველყოფის ობიექტს და ვალდებულების შესრულების ვადა ჯერ არ არის დამდგარი. დამგირავებელს (მესაკუთრეს) შეუძლია თავისი სურვილით გაყიდოს, გაახუქოს, გაცვალოს ან სხვაგვარად გაასხვისოს დაგირავებული ნივთი გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც:

1. მფლობელობითი გირავნობის შემთხვევაში მოგირავენ ან უფლებამოსილი მესამე პირი გირავნობის საგანს მფლობელობაში გადასცემს შემძენს;

2. დამგირავებელი (მესაკუთრე) დაგირავებულ ნივთს ასხვისებს თავისი ჩვეულებრივი სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში. ამასთან, მნიშვნელობა არა აქვს, იცოდა თუ არა შემძენმა ნივთზე დადგენილი გირავნობის უფლების თაობაზე. თუმცა, ეს წესი არ გამოიყენება, თუ შემძენი და დამგირავებელი მოქმედებდნენ არაკეთილსინდისიერად.¹⁸

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 266-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებულია, რომ მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ, რომ დამგირავებელი (მესაკუთრე) არ გაასხვისებს და არ დააგირავეს გირავნობის საგანს გირავნობის უფლების გაუქმებამდე.

თუ გირავნობის საგანს წარმოადგენს მოთხოვნა და მოთხოვნის მოვალის მიერ ხორციელდება ვალდებულების შესრულება მოთხოვნაზე გირავნობის უფლების არსებობის პერიოდში, მაშინ ვალდებულების შესრულება იკავებს მოთხოვნის ადგილს - ე.წ. სუროგაცია. სუროგაციის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მის თაობაზე მხარეთა პირდაპირი შეთანხმება. სუროგაციას ადგილი აქვს ასევე იმ შემთხვევაში, როდესაც გირავნობის საგნის დაკარგვასთან, დაზიანებასთან, განადგურებასთან ან გაუფასურებასთან დაკავშირებულია ანზდაურების მიღება.¹⁹

¹⁸ ზურაბ ჭეჭელაშვილი „სანივთო სამართალი“ თბილისი 2010 წელი; გვ.419-420;

¹⁹ იქვე-გვ.421

გირავნობის საგნის რეალიზაცია

თუ გირავნობით უზრუნველყოფილ მოთხოვნას მოვალე არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს, მოგირავნეს უფლება აქვს, მოახდინოს გირავნობის საგნის რეალიზაცია; სწორედ რეალიზაციის გზით ხდება მოგირავნის მოთხოვნის დაკმაყოფილება. თუმცა, თუ გირავნობის საგნის რეალიზაციიდან ამონაგები თანხა საკმარისი არ არის გირავნობით უზრუნველყოფილი მოთხოვნის დასაფარად ან გირავნობის საგნის ღირებულება არ ფარავს მოთხოვნის ოდენობას, მოთხოვნა მაინც სრულად ითვლება დაკმაყოფილებულად, თუ მხარეები გირავნობის ხელშეკრულებაში საწინააღმდეგოზე არ შეთანხმებულან.²⁰

კანონის ამგვარი დათქმა შეიძლება არასამართლიანად ჩაივალოს გარკვეულწილად, რადგან მოგირავნეს ერთმევა შესაძლებლობა სრულად დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნა. მას ესპობა იმის შესაძლებლობა, რომ შეძლოს მოთხოვნის დაუკმაყოფილებელი ნაწილის დაკმაყოფილება სხვა რაიმე საშუალებით.

კანონი რეალიზაციის დასაწყისშივე უქმნის რეალიზაციის უფლების მქონე მოგირავნეს ხელსაყრელ პირობას თავისი უფლების განხორციელებისათვის. კერძოდ, მას შეუძლია მოითხოვოს გირავნობის საგნის მისთვის გადაცემა, რაც ექვემდებარება დაუყოვნებლივ დაკმაყოფილებას. გარდა ამისა, სსკ-ის 281-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ მოთხოვნის რეალიზაცია დამოკიდებულია იურიდიული მოქმედების შესრულებაზე, მაშინ მოგირავნეს შეუძლია დამგირავებელს მოსთხოვოს ამ მოქმედების შესრულება. თუ დამგირავებელი ამ მოქმედებას არ შეასრულებს 2 კვირის ვადაში, მოგირავნე უფლებამოსილია, ეს მოქმედება დამგირავებლის სახელით განახორციელოს მესამე პირის მიმართ.²¹

რაც შეეხება თავად გირავნობის საგნის რეალიზაციის წესს, კანონი ითვალისწინებს მოგირავნის მხრიდან განსაკუთრებული ფორმალური პროცედურების დაცვას რეალიზაციის მართლზომიერების უზრუნველყოფისათვის, რომელიც განსხვავდება ერთმანეთისაგან იმისდა

²⁰ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი 276-ე მუხლის მე-2 ნაწილი;

²¹ ზურაბ ჭეჭელაშვილი „სანივთო სამართალი“ თბილისი 2010 წელი ; გვ.422-423.

მისევედ, სახეზეა მფლობელობითი თუ რეგისტრირებული გირავნობა.

მფლობელობითი გირავნობის დროს მოგირავნემ გირავნობის საგნის რეალიზაციამდე 2 კვირით ადრე უნდა წერილობითი შეტყობინებით გაააფრთხილოს რეალიზაციის შესახებ დამგირავებელი და სხვა მოგირავნეები, თუ გირავნობის საგანი რამდენჯერმეა დამგირავებული.²² მაგრამ კანონი იქვე აკეთებს გამონაკლისს, რომ შეიძლება გირავნობის საგნის რეალიზაცია მოხდეს მათი გააფრთხილების გარეშეც იმ შემთხვევებში:

1.თუ არსებობს გირავნობის საგნის საბაზრო და საბირჟო ფასის დაცემის რეალური საფრთხე;

2.გირავნობის საგანი მალფუჭებადია.

კანონით დადგენილია ის ზოგადი პირობები, რომლებიც დაცული უნდა იყოს გირავნობის საგნის გასხვისების დროს. კერძოდ, მოგირავნე ვალდებულია, გირავნობის საგანი გაასხვისოს სამართლიან და გონივრულ ფასში თავისი, დამგირავებლისა და სხვა მოგირავნეების ინტერესების გათვალისწინებით. ამ ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში მოგირავნე პასუხს აგებს დამგირავებლისა და სხვა მოგირავნეებისათვის მიყენებული ზიანისათვის.²³ თუ გირავნობის საგანს აქვს საბირჟო ან საბაზრო ფასი, მოგირავნეს შეუძლია გირავნობის საგნის გაყიდვა მიანდოს სპეციალურ სავაჭრო დაწესებულებას.

ასევე კანონი ითვალისწინებს, რომ მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ გირავნობის საგნის რეალიზაციის ისეთ წესზე, რომელიც არ არის კანონით გათვალისწინებული.

როდესაც გირავნობის საგანი არის რამდენჯერმე დატვირთული, მისი რეალიზაციის მოთხოვნის უფლება აქვს იმ მოგირავნეს, რომლის მოთხოვნის შესრულების ვადაც დადგა მიუხედავად იმისა, რომ მისი გირავნობის უფლება შეიძლება არ იყოს პირველი რიგის.²⁴

²² საქართველოს სამოქალაქო კოდექსი 282-ე მუხლის 1-ლი ნაწილი;

²³ იქვე-283-ე მუხლის 1-ლი ნაწილი; ²⁴ იქვე 279-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

გირავნობის საგნის მართლზომიერი რეალიზაციის შედეგია მასზე საკუთრების უფლების გადასვლა შემძენზე; საკუთრების უფლება უქმდება არამართლზომიერი რეალიზაციის შემთხვევაშიც. შემძენი იძენს საკუთრებას იმ პირობით, რომ იგი არამართლზომიერი რეალიზაციის ფაქტის მიმართ კეთილსინდისიერია. შემძენი გირავნოს საგანს, როგორც წესი, იღებს დაუტვირთავად, თუმცა ამ წესიდან არსებობს გამონაკლისიც, კერძოდ, გირავნობის საგანი დატვირთული რჩება იმ მოგირავნეთა უფლებებით, რომელთა გირავნობის უფლებაც წინ უსწრებს რეალიზაციის განმასხვრციელებელი მოგირავნის უფლებას.²⁵

გირავნობის უფლების გაუქმება

გირავნობის უფლების აქცესორული ბუნების გამო იგი უქმდება თუ წყდება თავად მოთხოვნა. გირავნობის უფლება უქმდება ასევე ე.წ. კონსოლიდაციის დროსაც, კერძოდ, როდესაც გირავნობის საგანზე საკუთრების უფლებას იძენს მოგირავნე.

როგორც სანივთო უფლება, გირავნობის უფლებაც უქმდება, როდესაც ის ნივთი, რომელიც დატვირთულია ამ უფლებით, განადგურდება ან თუ უფლებამოსილი პირი-მოგირავნე უარს განაცხადებს თავის უფლებაზე. მფლობელობითი გირავნობა უქმდება, აგრეთვე იმ შემთხვევაშიც, როდესაც მოგირავნე გირავნობის საგანზე მფლობელობას უბრუნებს დამგირავებელს. კანონი მფლობელობითი გირავნობის შემთხვევაში ითვალისწინებს გირავნობის უფლების გაუქმების სპეციალურ წესს, კერძოდ, გირავნობის უფლება უქმდება, თუ გირავნობით უზრუნველყოფილი მოთხოვნის დათმობის შემთხვევაში ახალი კრედიტორი არ მოითხოვს გირავნობის საგნის მისთვის გადაცემას ან გირავნობის უფლების რეგისტრაციას.²⁶

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 265-ე მუხლის თანახმად, გირავნობის უფლება უქმდება, თუ ადგილი ჰქონდა გირავნობის საგნის გადამუშავებას ან

²⁵ ზურაბ ჭკჭელაშვილი „სანივთო სამართალი“ თბილისი 2010 წელი; გვ.425-425;

²⁶ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი 269-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

მისი სხვა მოძრავ ნივთთან შერწყმას ისე, რომ პირვანდელ მდგომარეობაში მათი აღდგენა შეუძლებელია ან დაკავშირებულია მნიშვნელოვან ხარჯებთან. თუმცა, მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ გირავნობის უფლების შენარჩუნებაზეც. ამ უკანასკნელ შემთხვევაში გირავნობიდან გამომდინარე უფლებათა რიგითობა განისაზღვრება გადამუშავებამდე ან შერწყმამდე არსებული გირავნობის უფლებათა წარმოშობის მომენტის შესაბამისად.²⁷

მფლობელობითი გირავნობის შემთხვევაში, გირავნობის უფლების გაუქმებისას მოგირავნე ვალდებულია, გირავნობის საგანი დაუბრუნოს დამგირავებელს. რეგისტრირებული გირავნობის შემთხვევაში კი, გირავნობის უფლების გაუქმებისას დამგირავებელს შეუძლია, მოგირავნეს მოსთხოვოს გირავნობის გაუქმების დაუყოვნებლივ რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. თუ დამგირავებელი არ ითხოვს გაუქმების დაუყოვნებლივ რეგისტრაციას, მოგირავნე კანონის ძალით მაინც არის ვალდებული, მიმართოს საჯარო რეესტრს გირავნობის უფლების გაუქმების რეგისტრაციის განცხადებით გაუქმებიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში. ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში დამგირავებელს აქვს მოგირავნისაგან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.²⁸ გირავნობის უფლების გაუქმების მოთხოვნის უფლება აქვს თავად დამგირავებელსაც (სსკ-ის 275-ე მუხლის მე-3 ნაწილი).

დასკვნა

დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ გირავნობა წარმოადგენს საქართველოში მოთხოვნის უზრუნველყოფის ყველაზე გავრცელებულ საშუალებას. იგი, იპოთეკისაგან განსხვავებით, ვრცელდება მხოლოდ მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეებზე.

²⁷ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი 265-ე მუხლის მე-2 ნაწილი;

²⁸ იქვე 275-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

გამოყენებული ლიტერატურა:

- 1.საქართველოს სამოქალაქო კოდექსი;
- 2.გერმანიის სამოქალაქო კოდექსი;
- 3.ზურაბ ჭეჭელაშვილი „სანივთო სამართალი“ თბილისი 2010 წელი;
- 4.ბესარიონ ზოიძე „ქართული სანივთო სამართალი“; თბილისი 2003 წელი;
- 5.გიორგი ნადარეიშვილი „რომის სამოქალაქო სამართალი“ თბილისი 2006 წელი;
- 6.საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეორე, თბილისი 1999 წელი.